K 20 260 / 4

# ევროკავშირი და საქართველო



# რა არის ევროკავშირი?

დღევანდელ ევროკავშირს, ანუ თხუთმეტი ევროპული სახელმწიფოს გაერთიანებას, 1952 წელს ჩაეყარა საფუძველი. იგი ექვსი ქვეყნის გაერთიანებით დაიწყო და 1995 წლისათვის უკვე თხუთმეტ წევრ სახელმწიფოს ითვლიდა. დღევანდელი ევროკავშირი მოიცავს სივრცეს არქტიკული სარტყელიდან პორტუგალიამდე და ირლანდიიდან კუნძულ კრეტამდე. ის 370 მილიონ ევროპელს აერთიანებს. მრავალფეროვნების მიუხედავად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს საერთო ფასეულობები უდევთ საფუძვლად. ქმნიან რა პარტნიორულ გაერთიანებას, მათი მიზანია ხელი შეუწყონ დემოკრატიის და მშვიდობის განვითარებას, მოქალაქეთა კეთილდეობას და დოვლათის სამართლიან განაწილებას.

შეიქმნა რა საზღვრებისაგან ჭეშმარიტად თავისუფალი ევროპა და გაუქმდა რა ვაჭრობის შემზღუდველი ბარიერები, წევრმა სახელმწიფოებმა განიზრახეს იმ ძირითადი ეკონომიკური თუ სოციალური საკითხების მოგვარება, რომლებიც მათ წინაშე იდგა. ესენია: ერთიანი ვალუტის შემოღება, დასაქმების მხარდაჭერა და ევროპის როლის გაძლიერება საერთაშორისო ასპარეზზე. ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად წევრი სახელმწიფოები მუდამ ცდილობენ განამტკიცონ ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროკავშირს და რომელთა საფუძველზეც ევროკავშირი შემდგომ გაფართოებას აპირებს. გაფართოების შედეგად ევროკავშირმა მისი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები უნდა მოიცვას.

გადაწყვეტილებებს ევროკავშირის შიდა საკითხებზე იღებენ წევრი სახელმწიფოებისათვის საერთო ინსტიტუტები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

**ევროპული საბჭო,** რომელიც შედგება თხუთმეტი სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურისაგან. მისი მიზანია დასახოს პრიორიტეტები და განსაზღვროს სამომავლო პოლიტიკა. საბჭოს სხდომები იმართება წელიწადში ორჯერ.

**ევროკავშირის მინისტრთა საბჭო** გადაწყვეტილებების მიმღები ძირითადი ინსტიტუტია. საბჭოს ფარგლებში სხვადასხვაგვარი შეხვედრა იმართება, მაგალითად, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და სხვა დარგებში. საბჭოს სხდომებში მონაწილეობენ ამ დარგების მინისტრები ყოველი წევრი სახელმწიფოდან და იღებენ გადაწყვეტილებებს მიმდინარე საკითხებზე. მინისტრები კოორდინირებას უწევენ, აგრეთვე, წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პოლიტიკას იმ დარგებში, რომლებზეც მათ პასუხისმგებლობა აკისრიათ.

**ევროკომისია,** რომელსაც სათავეში 20 ევროკომისარი უდგას, არის ევროპული ინტეგრაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. იგი მრავალი ინიციატივის ავტორია და პასუხს აგებს მათ განხორციელებაზე. ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა. იგი ვალდებულია თვალყური adევნოს იმას, თუ რამდენად ადექვატურად ასრულებენ წევრი ქვეყნები უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ევროკომისია უშუალო მონაწილეა ევროკავშირისათვის საერთო გადაწყვეტილებების მიღების პროცესისა. კომისიის წევრებს შორის ფუნქციები მკაცრადაა განაწილებული.

**ევროპარლამენტი** ევროპის მოქალაქეთა წარმომადგენლობითი ორგანოა. ის განიხილავს წინადადებებს საკანონმდებლო სფეროში და საბოლოო სიტყვას ამბობს ევროკავშირის ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ ბოლო დროს, მისი თაოსნობით კიდევ უფრო განვითარდა სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა და განხორციელდა ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანთა უფლებების და დემოკრატიის განვითარებას, თანამშრომლობას უმაღლესი განათლების საკითხებში, პროექტების შემუშავებას გარემოს დაცვის სფეროში და თავისუფალი პრესის განვითარებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პარტნიორები ხანგრძლივი დროით: საქართველო და ევროკავშირი

1990 წლის მარტში საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე ყოველთვის გავლენას ახდენდა მისი სტრატეგიული მდებარეობა ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის; მისი, როგორც სავაჭრო და საკომუნიკაციო ხიდის როლი კავკასიას, ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის. საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა, რომლის გავლით ხდება ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება, მილსადენების საშუალებით, კასპიის ზღვიდან დასავლეთისაკენ.

ტექნიკური დახმარების პროგრამის – „ტასისის" – საშუალებით ევროკავშირი მზადაა დახმარება გაუწიოს საქართველოს განავითაროს თავისი ეკონომიკური პოტენციალი რეგიონში. ევროკავშირი მხარს უჭერს თავისუფალი ბაზრის და ღია მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. კონფლიქტური ზონების რეაბილიტირების საშუალებით, ევროკავშირი ეხმარება საქართველოს მოაგვაროს შიდა პრობლემები, რომლებიც დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ევროკავშირი არის საქართველოს პარტნიორი ხანგრძლივი ვადით. ის ხელს შეუწყობს საქართველოსთან ურთიერთობების განვითარებას და დაეხმარება ჩვენ ქვეყანას გახდეს 21-ე საუკუნის მსოფლიო მასშტაბის მოვლენების სრულუფლებიანი მონაწილე.




სპბ-2000
შემოწმებულია

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" – ურთიერთობის საფუძველი ევროკავშირსა და საქართველოს შორის

### რა არის „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ?"

„შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" არეგულირებს ყველა სახის ურთიერთობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის, პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების ჩათვლით. ის ქმნის ამ ურთიერთობათა სამართლებრივ საფუძველს და თავდაპირველად ათი წლის ვადითაა განსაზღვრული. შეთანხმება ემყარება დემოკრატიის და ადამიანთა უფლებების პატივისცემის პრინციპებს და ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ამავდროულად, მისი მიზანია დაუახლოვოს საქართველო ევროპას და დაეხმაროს მას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

### რას გვეუბნება „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ"?

„შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" დაიდო არამარტო საქართველოსა და ევროკავშირს შორის, არამედ მის ყოველ წევრ ქვეყანასა და საქართველოს შორის და ორმხრივ თანამშრომლობასაც არეგულირებს. ამ შეთანხმებაში, რომელსაც 1996 წელს მოეწერა ხელი (და რომელიც საქართველოს პარლამენტისა და ევროკავშირის წევრსახელმწიფოთა პარლამენტებში რატიფიცირების შემდგომ, 1999 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში) მოცემულია მიზნებისა და ღონისძიებების საკმაოდ ვრცელი ნუსხა. ეს ნუსხა შეთანხმებულია ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობებს შორის და მოიცავს სამოქალაქო სფეროში თანამშრომლობის მთელ სპექტრს: თანამშრომლობას ინტელექტუალური საკუთრების, ტრანსპორტის, უმაღლესი განათლების, სოფლის მეურნეობის და უკანონო ქმედებათა აღკვეთის სფეროებში.

შეთანხმებაში მოცემულია, აგრეთვე, საერთაშორისო ნორმები, რომლებიც შეეხება სამოქალაქო თავისუფლებებსა და დემოკრატიას. შეთანხმება არის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის საფუძველი. მისი მიზანია დაეხმაროს საქართველოს დემოკრატიზაციის და კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესში. 1997 წელს საქართველოს მთავრობამ, შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე დამატებით, მიიღო გადაწყვეტილება დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულ საკანონმდებლო სტანდარტებს.

დაბოლოს, „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" არის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც მოსალოდნელია ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას მხარეებს შორის.

### რა პრაქტიკულ ღონისძიებებს გულისხმობს „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ"?

- გაიმართება ყოველწლიური შეხვედრები ევროკავშირსა და საქართველოს შორის მინისტრების, პარლამენტარების და სახელმწიფო მოხელეთა დონეზე.
- ევროკავშირის კომპანია, რომელიც კაპიტალს დააბანდებს საქართველოში, ისარგებლებს იმავე პირობებით, რომლებითაც სარგებლობს ქართული ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის კომპანია (რომლის პირობებიც უკეთესია). ქართული კომპანია, რომელიც კაპიტალს დააბანდებს ევროკავშირის ბაზრებზე, ისარგებლებს იმავე პირობებით, რომლებითაც სარგებლობენ ევროკავშირის კომპანიები.
- გაუქმდება სავაჭრო კვოტები და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი საზღვრებზე.
- ლეგალურად დასაქმებული პირები ევროკავშირიდან ან/და საქართველოდან ისარგებლებენ ისეთი სამუშაო პირობებით, რომლებიც არ იწვევს მათ დისკრიმინაციას.

- ევროკავშირის წევრი ქვეყნების და საქართველოს მთავრობები ვერ შეწყვეტენ მიმდინარე ურთიერთანგარიშსწორებას საქონელსა და მომსახურებაზე და ვერ მოახდენენ კაპიტალის მოძრაობის ბლოკირებას ევროკავშირიდან საქართველოში და პირიქით.
- მოსალოდნელია, რომ ხუთ წელიწადში ინტელექტუალური საკუთრების მფლობელების უფლებები თანაბრად იქნება დაცული საქართველოსა და ევროკავშირის სამართლებრივი სისტემების მიერ.

საქართველო

| | |
|---|---|
| დედაქალაქი: | თბილისი |
| ფულის ერთეული: | ლარი |
| სრული ფართობი: | 69 700 კვ. კმ (26 911 კვ მილი) |
| მოსახლეობა: | 5. 2 მილიონი (1997) |
| დრო: | გრინვიჩის დროს + 3 საათი |

# ვაჭრობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის

სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირსა და საქართველოს შორის სულ უფრო სწრაფად იზრდება. „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" ორივე მხარემ აიღო ვალდებულება გააღრმავოს არსებული ურთიერთობები. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს სწრაფ გაწევრიანებას „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში." განაგრძობს რა ამ ორგანიზაციასთან საქართველოს ვაჭრობის მხარდაჭერას, ევროკავშირი, გამოცდილების გაზიარებით („ტასისის" პროგრამის ფარგლებში), ხელს უწყობს ეკონომიკურ რეფორმებს საქართველოში.

საქართველო, როგორც ციტრუსების, ჩაის, ყურძნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა, ტრადიციულად დამოკიდებული იყო მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობაზე.

საქართველომ თანდათანობით იცვალა კურსი. იგი აღარ არის დამოკიდებული ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე და ცდილობს გაააქტიუროს ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან, მათ შორის ევროკავშირთან. ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობები და „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში" გაწევრიანება საქართველოს მთავრობისათვის უპირველესი პრიორიტეტია და გამოხატავს ქვეყნის მისწრაფებას ჩაებას თანაბარუფლებიან ვაჭრობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ვაჭრობის ამსახველი მონაცემები (მილიონ ევროში)

| წელი | იმპორტი ევროკავშირიდან | ექსპორტი ევროკავშირში | სულ ვაჭრობა | ბალანსი |
|---|---|---|---|---|
| 1995 | 20.9 | 98.9 | 119.7 | +78.0 |
| 1996 | 40.4 (+93%) | 170.5 (+72%) | 210.9 (+76%) | +130.2 |
| 1997 | 51.8 (+28%) | 224.7 (+32%) | 276.5 (+31%) | +172.9 |
| 1998* | 58.4 (+13%) | 251.5 (+12%) | 309.9 (+12%) | +193.1 |

* 1998 წლის მონაცემები პროგნოზს ემყარება

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის ამსახველი დინამიკა (მილიონ ევროში)



# თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის

## რა არის „ტასისი“?

„ტასისის“ პროგრამა ევროკავშირის ინიციატივაა. იგი ითვალისწინებს გრანტების საშუალებით დაფინანსებას და მიზნად ისახავს „ნოუ-ჰაუს“ გაზიარებას, რომელიც დაეხმარება საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას ახლადდამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და მონღოლეთში. ევროკომისია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და სხვა ორგანიზაციებთან ისეთი სექტორების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც „ტასისის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება.

„ტასისის“ ფარგლებში განხორციელებული მრავალრიცხოვანი ღონისძიებები შეილება ორ ძირითად კატეგორიად დაიყოს:

- ევროკავშირის გამოცდილების გადატანა საქართველოში
- დახმარების გაწევა საქართველოსათვის და ახლადდამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ისეთი ინიციატივების შემუშავებაში, რომლებიც საშუალებას მისცემენ ამ ქვეყნებს თვითონ გადაჭრან მათთვის საერთო პრობლემები.

## გამოცდილების გაზიარება და დახმარების გაწევა უკვე შემუშავებული მოდელის მიხედვით

ევროკავშირი, გრანტული დაფინანსების სახით, უდიდეს ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის დახმარება, რომელიც საქართველოში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან შემოდის ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე. ხდება „ტასისის“ საქმიანობის კოორდინირება ისეთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

სულ ახლახანს, ევროპის საბჭომ საქართველო თავის სრულუფლებიან წევრად მიიღო. საქართველოს გაწევრიანება არის სიმბოლო იმ გზისა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა სულ უფრო უახლოვდება ევროპას.

„ტასისის“ ფარგლებში საქართველოსათვის **1991-1998** წლებში გამოყოფილი სახსრები*

| სხვადასხვა სექტორში გაწეული დახმრება **1991-1997** წლებში (მილიონ ევროში) | **1991** | **1992** | **1993** | **1994** | **1995** | **1996/97** | **1998/99** | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბირთვული უსაფრთხოება და გარემოს დაცვა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურიზება და კერძო სექტორის განვითარება | 0 | 3.5 | 0 | 3.6 | 1.9 | 4.85 | 3.5 | 17.35 |
| რეფორმა სახელმწიფო ადმინისტრირების, სოციალური მომსახურების და განათლების სფეროებში | 1.18 | 1.25 | 0 | 1.8 | 1.3 | 1.5 | 4.0 | 11.03 |
| სოფლის მეურნეობა | 2.65 | 1.5 | 0 | 1.8 | 0 | 0 | 1 | 6.95 |
| ენერგეტიკა | 0.4 | 0 | 0 | 0 | 2.3 | 3.5 | 1.5 | 7.7 |
| ტრანსპორტი | 0.73 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1.73 |
| კონსულტირება პოლიტიკის სფეროში და მცირე პროექტები | 0 | 2.75 | 0 | 0 | 0 | 4.58 | 3.8 | 11.13 |
| ტელეკომუნიკაციები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| სხვა | 0 | 0 | 6 | 0.8 | 0.5 | 0.57 | 1.2 | 9.07 |
| სულ | **4.96** | **9** | **6** | **8** | **6** | **16** | **16** | **65.96** |

* ეს მონაცემები არ მოიცავს თანხებს, რომლებიც გამოიყო ტრანსპორტის, ენერგეტიკის და გარემოს დაცვის *სახელმწიფოთაშორისი* პროგრამების ფარგლებში

# თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

## რეფორმა სამთავრობო სტრუქტურებში

სამთავრობო სტრუქტურების რეფორმირება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოსათვის. მათი რეფორმირების გარეშე ღია, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაკენ სვლა ძალზე ნელი იქნება. „ტასისის“ ზემოხსენებული პროექტების მიზანია არამარტო გაზარდონ სახელმწიფო მოხელეთა სამსახურის ეფექტიანობა, არამედ ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარებას.

1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპული კანონმდებლობის სტანდარტებს. ამ და სხვა მიზნების მისაღწევად საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ევროკავშირთან ურთიერთობის სპეციალური საპარლამენტო კომიტეტი.

„ტასისის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი საქართველოში არის „ქართულ-ევროპული პოლიტიკური და სამართლებრივი კონსულტირების ცენტრი“ (GEPLAC). ეს პირველი ასეთი ტიპის ცენტრია ამიერკავკასიაში. ცენტრის მიზანია დაეხმაროს საქართველოს შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია „შეთანხმებით პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ და სავალდებულოა „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“ გასაწევრიანებლად. ცენტრი ეხმარება საქართველოს სტრუქტურებს დანერგონ ევროპული სტანდარტები ეროვნულ კანონმდებლობაში. ეს არის ნაწილი უფრო ფართომასშტაბიანი ამოცანისა, რომელიც საქართველოს კანონების ევროპულ კანონებთან დაახლოებას ითვალისწინებს. სწორედ ამიტომ, საქართველოს პარლამენტის წევრები ამავდროულად ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც არიან. „ტასისის“ პროექტების ფარგლებში ხდება მთავრობის წარმომადგენლების მომზადება. ამით „ტასისი“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის მხარს უჭერს კანონის უზენაესობის დამკვიდრებას საქართველოში. მაგალითისათვის, „ტასისის“ ფარგლებში შეიქმნება მომზადების ცენტრი იმ მოსამართლეთა გადასამზადებლად, რომლებმაც ახლახანს გაიარეს საკვალიფიკაციო გამოცდები. „ტასისი“ აფინანსებს ისეთ პროექტებსაც, რომელთა ფარგლებში ხდება პარლამენტის აპარატის მომზადება და საქართველოს საბაჟო სამსახურის მოდერნიზება.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ახლადარჩეული პირები „ტასისის“ პროგრამების ფარგლებში მომზადდებიან დემოკრატიული ადმინისტრაციული მმართველობის საკითხებსა და მუნიციპალური მომსახურების სფეროებში.

## ენერგეტიკა

„ტასისი“ აღიარებს ენერგეტიკის სექტორის მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკისათვის, რადგანაც საქართველო აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ნავთობის ტრანზიტის საკვანძო ქვეყანაა. რეგიონული „ინოგეიტის“ (იხ. ქვემოთ) პროგრამა, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს, მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოს ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობების გაზრდაში. „ტასისის“ ფარგლებში დახმარება გაეწია „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას“ მოლაპარაკების წარმართვის მეთოდებში, რაც დაეხმარებოდა მას უკეთ წარმოეჩინა საქართველო კასპიის ნავთობის ექსპორტის შესახებ მოლაპარაკებების პროცესში. „ტასისის“ ფარგლებში მოხერხდა დასაქმება ევროპული ნავთობკომპანიების ყოფილი კონსულტანტებისა, რომლებიც დაეხმარებიან საქართველოს მოლაპარაკებების პროცესში. „ტასისი“ დაეხმარა საქართველოს ენერგომომწოდებლებს შეემუშავებინათ საქართველოს მოსახლეობისათვის უფრო ეფექტური და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული გზები. ამ მიზნით და „ტასისის“ ხელშეწყობით დაარსდა ენერგოეფექტურობის ცენტრი.

## სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. ამდენად, ამ სექტორის გაუმჯობესება უშუალო გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე. ახლახანს, „ტასისის“ ფარგლებში შეიქმნა ექვსი „აგრო-

# თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

ბიზნეს ცენტრი“, რომელიც მოამზადებს, კონსულტირებას გაუწევს და დაეხმარება ფერმერებსა და ფერმერულ ასოციაციებს მოახდინონ საბაზრო ეკონომიკაში არსებული კონკურენციის პირობებთან ადაპტირება.

„ტასისის“ ეგიდით მიმდინარე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული არის „რეგიონული სასოფლო-სამეურნეო რეფორმის პროგრამა.“ საქართველოში იგი ისეთი წარმატებით მიმდინარეობს, რომ რეგიონის სხვა ქვეყნებისათვის სამაგალითოდაა მიჩნეული. ამ პროგრამის დასაფინანსებლად გამოყენებული იყო თანხები, რომლებიც ევროკავშირიდან (დახმარების სახით) შემოსული სურსათის გაყიდვის შედეგად დაგროვდა. თანხები გამოყენებული იქნა საკრედიტო კავშირების შესაქმნელად და კომერციული ბანკების საშუალებით ფერმერთათვის სესხების გასაცემად. საქართველოში ამ პროგრამის დაწყებიდან მხოლოდ ერთი დაუბრუნებელი სესხი აღინიშნება. ამჟამად პროგრამა ახალ ფაზაში შედის. მის ფარგლებში შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომლის მართვასაც, დროთა განმავლობაში, ქართველები ჩაუდგებიან სათავეში.

## ინფრასტრუქტურის განვითარება

გზების, რკინიგზისა და პორტების განვითარებაში დახმარების გაწევით, „ტასისი“ მხარს უჭერს ინფრასტრუქტურის გაძლიერებას საქართველოში, რადგან სწორედ ინფრასტრუქტურა არის თავისუფალი ბაზრის განვითარების და კეთილდღეობის დამკვიდრების საფუძველი.

„ტასისი“ აღიარებს, რომ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო კავშირების განვითარება, როგორც გარე სამყაროსთან, ისე ქვეყნის შიგნით, სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკისათვის. სწორედ ამიტომ, „ტასისი“ დახმარებას უწევს კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. „ტასისის“ ფარგლებში მიმდინარეობს საკონსულტაციო მომსახურება და კადრების მომზადება საფოსტო მომსახურებაში, რკინიგზის, საგზაო და საპაერო ტრანსპორტში. „ტასისი“ დახმარებას გაუწევს, აგრეთვე, ბათუმისა და ფოთის პორტებს მენეჯმენტის დახვეწაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზღვაო უსაფრთხოება პორტებში. „ტასისის“ ფარგლებში შესრულდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მოსამზადებელი სამუშაოები, თვით ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, მოხდება არსებული მდგომარეობის შესწავლა და ჩატარდება წყალქვეშა შემოწმებები.

რეგიონული მასშტაბითაც ბევრი პროექტი ხორციელდება, მაგალითად, „ტრასეკას“ პროგრამა (იხ. ქვემოთ), რომლის მიზანია გზების, რკინიგზის, პორტების და აეროპორტების განვითარების ხელშეწყობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტვირთის თავისუფალი მიმოქცევა ამიერკავკასიის ქვეყნებს, ევროპასა და შუა აზიას შორის.

## ბიზნესის ხელშეწყობა

„ტასისის“ ფარგლებში შეიქმნა „საწარმოთა რესტრუქტურიზების და მართვის ხელშემწყობი ცენტრი“ („სერმა“), რომლის შემდგომ ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მსოფლიო ბანკმა. ცენტრის მიზანია 2000 წლისათვის რესტრუქტურიზებაში დაეხმაროს 100 ფირმას და მოამზადოს 200 ადგილობრივი კონსულტანტი. ეს მიზანი საქართველოს პრეზიდენტის მიერაც იყო გაცხადებული. დღეისათვის ცენტრმა კარგ შედეგებს მიაღწია ისეთ სექტორებში, როგორებიცაა ფარმაცევტული წარმოება და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა. „სერმამ“ წარმატებას მიაღწია, აგრეთვე, ზოგიერთი თავისი კლიენტისათვის უცხოელი ინვესტორების მოზიდვაში. „ტასისის“ ეგიდით დაარსდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრები, რომლებმაც 1994 წლიდან დღემდე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბიზნესის ხელშეწყობის საქმეში. „ტასისის“ ფარგლებში გაგრძელდება მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ექსპორტის განვითარებაში.

„ტასისი“ დახმარებას გაუწევს, აგრეთვე, სამთავრობო სტრუქტურებს და მეწარმეებს განავითარონ მომსახურების სფერო ტურიზმის სექტორში. „ტასისის“ ფარგლებში დახმარება იყო გაწეული საქართველოს ეროვნული

# თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

ბანკისა და კომერციული ბანკებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტების დანერგვაში.

## კონფლიქტური ზონის რეაბილიტირება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას და მისი საზღვრების ურღვეობას. ამასთან, იგი მზადაა დაეხმაროს საქართველოს მთავრობას კონფლიქტურ ზონებში არსებული დაძაბულობის განმუხტვაში. სამხრეთ ოსეთისათვის „ტასისმა“ შეიმუშავა პროგრამები, რომლებიც დაეხმარება კავშირების აღდგენას ქართულ და სამხრეთოსურ მოსახლეობას შორის და დაანახებს მათ პრაქტიკულ შედეგებს. ეს პროექტები ითვალისწინებენ სკოლების აღდგენას, სატრანსპორტო კავშირების, კერძოდ, რკინიგზის და ენერგო-ინფრასტრუქტურის განვითარებას. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები რეგიონის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობაზეა მიმართული. ამგვარი თანამშრომლობის ერთ-ერთი მიზანია ყველას დაანახოს, თუ რა შედეგი მოაქვს მშვიდობას. აფხაზეთში „ტასისი“ („ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან“ ერთად) დახმარებას გასწევს ენგურის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აღდგენაში, რომელიც ელექტროენერგიას მიაწოდებს როგორც ქართველ, ისე აფხაზ მოსახლეობას.

## საერთაშორისო დანაშაული და ნარკოტიკული ნივთიერებების ტრანზიტი

ამჟამად, „ტასისის“ ფარგლებში ხდება სამართლისა და საშინაო საკითხებთან დაკავშირებული პროექტების შერჩევა ამიერკავკასიის რეგიონისათვის. ევროკავშირი, მისი წევრი სახელმწიფოები, „ტასისი“ და ახლადდამოუკიდებელი სახელმწიფოები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლას, როგორიცაა „ფულის გაკეთილშობილება,“ არალეგალური იმიგრაცია და ნარკოტიკების ტრანსპორტირება.

## სახელმწიფოთაშორისი პროგრამები

„ტასისი,“ საქართველოს მთავრობა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მთავრობები აღიარებენ, რომ არის საკითხები, რომელთა რეგიონულ დონეზე განხილვა და გადაჭრა უფრო ეფექტურია. საკითხთა ბუნებიდან გამომდინარე, მათ გადაჭრას რამოდენიმე ქვეყნის ერთიანი ძალისხმევა სჭირდება. „ტასისის“ მიერ დაფინანსებული სახელმწიფოთაშორისი პროგრამები ემსახურება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

## „ინოგეიტი“: ნავთობის და გაზის ტრანსპორტირება ევროპაში

„ინოგეიტი“ არის ევროკავშირის ტექნიკური დახმარება, რომლის მიზანია დახმარების გაწევა ნავთობის და გაზის მიწოდების საკითხებში „ინოგეიტი“ მიზნად ისახავს ნავთობის და გაზის რეგიონული მილსადენების სისტემის და ინფრასტრუქტურის რეაბილიტირებას, ოპტიმიზირებას და მოდერნიზებას. პროექტის ხანგრძლივობა ოთხი წლით განისაზღვრება, ხოლო მის მიერ დაფინანსებულ ღონისძიებათა ღირებულება 50 მილიონ ევროს აღწევს. პროგრამა მიზნად ისახავს, აგრეთვე, გამოიძებნოს ახალი გზები კასპიის ზღვიდან და შუა აზიიდან ნახშირწყალბადების ევროპულ ბაზარზე ტრანსპორტირებისათვის.

პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რადგანაც არსებული პროექტის შესაბამისად, ძირითადმა ნავთობსადენმა სწორედ საქართველოს შავიზღვისპირა პორტებში უნდა გაიაროს, რაც საქართველოს ძირითად სატრანზიტო ქვეყნად აქცევს.

იმის გათვალისწინებით, რომ მილსადენების სისტემის განვითარებას მნიშვნელოვანი ინვესტირება სჭირდება, „ინოგეიტი“ გვევლინება კატალიზატორად, რომელიც ხელს უწყობს კერძო ინვესტორების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოზიდვას. ამ მიზნით „ინოგეიტის“ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სამუშაოებს, რომლებიც მოიცავენ ტრანსკასპიური წყალქვეშა მილსადენის პრო-

# თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

ექტის შესწავლას. „ინოგეიტის" ფარგლებში ხდება ხელმძღვანელი კადრების მომზადება ნავთობის და გაზის ტრანსპორტირების თანამედროვე სისტემებში. გარდა ამისა, იქმნება სამართლებრივი ჩარჩოები, რომლებიც დაარეგულირებს ამ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს და მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებს და პრაქტიკას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია „ევროპის ენერგეტიკულ ქარტიასა" და „შეთანხმებას ენერგეტიკული ქარტიის შესახებ."

შეიქმნა „ინოგეიტის" დამხმარე ჯგუფი და მთავრობათაშორისო სამუშაო ჯგუფი, რომლებშიც 40-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს. მათი მიზანია ზედამხედველობა გაუწიონ პროექტის მიმდინარეობას. დამატებითი ინფორმაცია „ინოგეიტის" შესახებ მოთავსებულია ინტერნეტში, შემდეგ მისამართზე: http://europeanunion.tacis.inogate.com/

## „ტრასეკა:" სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია

„ახალი აბრეშუმის გზის" სახელწოდებით ცნობილი „ტრასეკა" არის „ტასისის" მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც ემსახურება სატრანსპორტო კავშირების განვითარებას შუა აზიას, კავკასიას და ევროპას შორის, საქართველო კი ამ პროექტის ძირითადი პარტნიორია. „ტრასეკას" პროექტი მიზნად ისახავს შექმნას ორმხრივი დერეფანი, რომელიც იქნება უსწრაფესი და უიაფესი გზა ევროპიდან შუა აზიისაკენ კავკასიის გავლით. „ტრასეკას" ფარგლებში ფინანსდება პროექტები, რომელთა მიზანია გააუმჯობესონ საგზაო და სარკინიგზო გზები კავკასიაში.

„ტრასეკას" პროგრამით დაფინანსდა 22 ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ტექნიკური დახმარებისათვის და ხუთი საინვესტიციო პროექტი ინფრასტრუქტურის რეაბილიტირების სფეროში. ამ პროექტების მიზანია განავითარონ ალტერნატიული სატრანსპორტო გზები ევროპის მიმართულებით, რაც შედავათს მისცემს მოსკოვზე გამავალ ტრადიციულ და ძალზე გადატვირთულ გზებს. ღონისძიებები, რომლებიც „ტრასეკას" ფარგლებში ხორციელდება, ხშირად მნიშვნელოვან ინვესტიციებს იზიდავენ ისეთი დიდი საფინანსო ინსტიტუტებიდანაც კი, როგორებიცაა „ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკი" და „მსოფლიო ბანკი". „მსოფლიო ბანკმა" თავისი მხარდაჭერა გაამაგრა 40 მილიონის ოდენობის ფინანსური დახმარებით კაპიტალური პროექტებისათვის საქართველოსა და სომხეთში. ამ მხარდაჭერამ კი კერძო ინვესტიციების მოზიდვასაც შეუწყო ხელი. ევროკავშირი, ავიახაზების მიერ ერთობლივი კომპანიების შექმნის გზით, მხარს უჭერს რეგიონული მიმოსვლის განვითარებას ამიერკავკასიის სამ ქვეყანას შორის და ეხმარება მათ საჰაერო ტრანსპორტის კონტროლის სისტემების დახვეწასა და განვითარებაში.

## სასურსათო უზრუნველყოფა

1996 წლიდან მოყოლებული ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოს ბიუჯეტს, რათა გააძლიეროს ქვეყნის უნარი გამოკვებოს თავისი მოსახლეობა. ეს დახმარება არის გაგრძელება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დიდი სასურსათო დახმარების ოპერაციებისა, რომლებიც 1994-1996 წლებში იყო განხორციელებული და რომლებსაც საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის მიერ რეფორმების განხორციელება. ამ მიზნის მისაღწევად 1996-1998 წლებში ევროკავშირმა დაახლოებით 48 მილიონი ევრო გამოყო.

## გარემოს დაცვა

გარემო პირობების გაუარესება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არის საბჭოური დროიდან მიღებული მემკვიდრეობა და საფრთხეს უქმნის თვით ამ ქვეყნებს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.

## საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

„ტასისის" ფარგლებში გრძელდება ისეთი პროექტების დაფინანსება, რომლებიც მიზნად ისახავენ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებას გარემოსდაცვითი პრობლემატიკის გაშუქების მიზნით. „ტასისის" ეგიდით მიმდინარეობს მომზადება წყლის ხარისხზე დაკვირვებისა (მონიტორინგის) და შავი ზღვის და მისი მიმდებარე ხმელეთის ბიო-

# თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის

მრავალფეროვნებაზე დაკვირვებაში. პროექტის გარკვეული ნაწილი ითვალისწინებს ჟურნალისტების მომზადებას გარემოსდაცვით საკითხებში. პროექტით გათვალისწინებულია, აგრეთვე, სკოლებში გარემოსდაცვითი ბიბლიოთეკების და ვიდეოთეკების შექმნა. „ტასისი“ ეხმარება საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს შეიმუშაონ გარემოსდაცვითი პოლიტიკის მექანიზმები.

### რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი საქართველოში

„ტასისი“ ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი რეგიონული ცენტრის შექმნას საქართველოში, რომელიც გარემოსდაცვითი ინიციატივების მხარდასაჭერად იქნება მოწოდებული. მისი მიზანია საზოგადოების ინფორმირება, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადება და სხვა დონორთა სახსრების მიმართვა გარემოსდაცვით ინიციატივებზე. ცენტრის მიზანია, აგრეთვე, წარმართოს დიალოგი გარემოსდაცვით საკითხებზე, როგორც სამთავრობო, ისე საზოგადოებრივ დონეზე.

### ევროკავშირის ჰუმანიტარული დახმარება საქართველოსათვის

საქართველო დიდი მოცულობის ჰუმანიტარულ დახმარებას საჭიროებს. დღეისათვის, „ექოს“ (ECHO) ანუ „ევროკომისიის ჰუმანიტარული ოფისის“ საშუალებით, ევროკავშირს საქართველოსათვის მოწოდებული აქვს 70 მილიონი ევროს ოდენობის სასურსათო და სხვა ჰუმანიტარული დახმარება.

### დახმარება საქართველოს მაკროეკონომიკისათვის

ქვეყნის საგარეო ვალის შემცირების და საერთაშორისო კრედიტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, ევროკავშირი საგანგებო ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს. ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე გამოიყოფა 110 მილიონი ევროს ოდენობის ახალი, 15 წლიანი სესხი, რომელიც გამაგრებული იქნება 5 წლიანი გრანტული დაფინანსებით.

### დემოკრატია და ადამიანთა რესურსები – თანამშრომლობის ქვაკუთხედი

„პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ მე-2 მუხლის თანახმად, „ტასისის დემოკრატიის პროგრამა“ 1992-დან მოყოლებული ემსახურება პლურალისტური საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას საქართველოში. ის მხარს უჭერს დემოკრატიულ ნორმებსა და ინსტიტუტებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პროცესში, ამზადებს ჟურნალისტებს და აცნობს მათ ინფორმაციის მოწოდების დემოკრატიულ კულტურას. პროექტები, რომლებიც „დემოკრატიის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება, ძირითადად შეეხება ცნობიერების ამაღლებას, დისკრიმინაციის თავიდან აცილებას, ადამიანთა უფლებების დაცვას, ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერას, ჟურნალისტური და საპარლამენტო პრაქტიკის მხარდაჭერას, პროფკავშირული მოძრაობის განვითარებას და ქალთა უფლებების დაცვას. ევროკავშირი, „დემოკრატიის პროგრამის“ საშუალებით, დახმარებას უწევს საქართველოს ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებაში. ევროკავშირის „ტასისის“ პროგრამა ითვალისწინებს ჟურნალისტების, მოსამართლეების, პოლიციისა და სასაზღვრო მცველთა მომზადებას დემოკრატიული ქვეყნის მოთხოვნებში. ის, აგრეთვე, ეხმარება მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციას იმუშაოს დემოკრატიულ გარემოში.

**Delegation of the European Commission**

**Office Address EC Delegation Nino Chkheidze St 38. 380008 Tbilisi**

**Tel 995.32.94 37 63**

**Fax 995.32. 94 37 63**

**E-mail eugeorg@eu-delegation.org.ge**

**Tacis Coordination Unit**

**Office Address Tacis CU,12 Chanturia Street, 380004 Tbilisi**

**Tel 995.32.995 504 / 995.32.988.529 / 995.32.988 437**

**E-mail eugeorg@eu-delegation.org.ge**

**European Commission Directorate General for External Relations:**

**Europe and the New Independent states, Common Foreign abd Security Policy and External Service Unit 1A4**

**Institutional Relations and Information. Tacis Information Section**

**Mailing Address CHAR 11/232 Wetstraat 200 Rue de la Loi B-1049 Brussels**

**World Wide Web Addess http://europa.eu.int/comm/dg1a/tacis.index.htm**

**Tel (+32-2)295 25 85 / 296 60 65**

**Fax (+32-2)296 80 24**

**E-mail tacis.info@dg1a.cec.be**

75/1

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში**
**მისამართი** ნინო ჩხეიძის 38, თბილისი 380002
**ტელ** 995.32.94 37 63
**ფაქსი** 995.32.94 37 63
**ელ. ფოსტა** cugcorg@cu-delegation.org.gc

**ტასისის საკოორდინაციო ბიურო**
**მისამართი** ჭანტურიას 12, თბილისი 380004
**ტელ** / 995.32.995 504 / 995.32.988.529 / 995.32.988 437
**ელ. ფოსტა** cu.tacis@caucasus.net

**ევროკომისია** • საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატი
ევროპა და ახლადდამოუკიდებელი სახელმწიფოები, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და საგარეო სამსახურის განყოფილება 1A.4
ინსტიტუციური ურთიერთობები და ინფორმაცია. ტასისის საინფორმაციო განყოფილება
**საფოსტო მისამართი** CHAR 11/232 Wetstraat 200 Rue de la Loi B-1049 Brussels
**ტელ** (+32-2)295 25 85 / 296 60 65
**ფაქსი** (+32-2)296 80 24